



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თამარაშენი

თამარაშენი, სოფელი ქურთის მუნიციპალიტეტის ქურთის თემში (შიდა ქართლის მხარე), მდ. დიდი ლიახვის ხეობაში. ზ. დ. 880 მ, ცხინვალიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 0,5 კმ. 960 მცხ. (2002).

გადმოცემის თანახმად, თ. - მცირე ქალაქი - XII ს-ში დაუარსებია თამარ მეფეს. თ. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.), როგორც ქართველებით, სომხებით და ებრაელებით XVIII ს-ში თ-ში აჩაბეთიდან გადმოსახლებულან მაჩაბლები. 1865 შედიოდა სურამის უბნის თამარაშენის სასოფლო თემში 65 კომლით. სოფლის სამხრეთით 2 კმ-ზე შემორჩენილია ნახევრად დანგრეული გრიგოლწმინდის დარბაზული ეკლესია, რ-იც გვიანდ. შუა საუკუნეებით თარიღდება. თ-ში დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი ი. მაჩაბლი, აქვე იყო მისი სახლ-მუზეუმი.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩი-შვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971; Документы по истории Грузии, т. 1, тб., 1954. დასახლებული მცირე ქალაქი.

ჭ. გვასალია